კავკასიის ეკონომიკის სკოლა

ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამა

სკოლის შესახებ

კავკასიის ეკონომიკის სკოლა (CSE) დაარსდა 2018 წელს. თუმცა, მანამდე კავკასიის ეკონომიკისა და ჯანდაცვის სკოლის ბაზაზე ფუნქციონირებდა, შესაბამისად 2012 წლიდან ვახორციელებთ პროგრამებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურზე - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე.

ჩვენი საგანმანათლებლო პროგრამები შემუშავებულია ევროპისა და ამერიკის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორ-მასწავლებლებთან თანამშრომლობით ან/და თანაავტორობით.

კავკასიის ეკონომიკის სკოლა თანამშრომლობს როგორც კერძო კომპანიებთან, ისე სახელმწიფო ორგანიზაციებთან სხვადასხვა ფორმით. ჩვენს სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ, მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ეკონომიკის სკოლაში ფუნქციონირებს ეკონომიკური კვლევების ცენტრი, რომელიც იკვლევს და სწავლობს საქართველოს ეკონომიკას.

საერთაშორისო სტანდარტებზე დაფუძნებული და ორიენტირებული სასწავლო კურსები, თანამედროვე საუნივერსიტეტო კამპუსი და უმაღლესი დონის პრაქტიკოსი ლექტორები ჩვენს სტუდენტებს საშუალებას აძლევენ, რომ ჩამოყალიბდნენ საუკეთესო ეკონომისტებად და იყვნენ კონკურენტუნარიანნი, როგორც საქართველოს, ასევე მსოფლიოს მასშტაბით.

ეკონომიკა

პროგრამა შემუშავებულია ბულგარეთის, ბელგიისა და მაგდებურგის უნივერსიტეტებისა და ფლორიდის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პროფესორებთან კონსულტაციების შედეგად. პროგრამა ითვალისწინებს კადრების მომზადებას ეკონომიკის მიმართულებით.

ფუნდამენტურ და სპეციალურ ეკონომიკურ დისციპლინებში მიღებული ცოდნა და უნარ-ჩვევები, მაგისტრანტს საშუალებას მისცემს: შეაფასოს სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკა, გაათვითცნობიეროს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირების კანონზომიერებები მიკრო, მაკრო და საერთაშორისო დონეზე, დაეუფლოს გარდამავალი ქვეყნების ეკონომიკის, შრომის ეკონომიკის, მონეტარული და პოლიტიკური ეკონომიკის, რეგიონალური ინტეგრაციისა და საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე პრინციპებს. ხანგრძლივობა მინიმუმ 2 და მაქსიმუმ 4 წელი.

არჩევითი საგნები

- ეკონომიკური კვლევის მეთოდები
- მენეჯერული ეკონომიკა
- დასაქმების პოლიტიკა და არაფორმალური ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა
- გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა საქართველოში - შედარებითი პერსპექტივა
- ორგანიზაციული ქცევა და ადამიანური რესურსის მენეჯმენტი
- სახელმწიფო ეკონომიკა (ფისკალური თეორია და პოლიტიკა)
- პოლიტიკური ეკონომიკა და საზოგადოებრივი არჩევანი
- თამაშთა თეორია

მიღების წესები

- საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარება
- ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი
- კავკასიის ეკონომიკის სკოლის მიერ ორგანიზებული გასაუბრების წარმატებით გავლა
- პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად აუცილებელია ინგლისური ენის მინიმუმ B2 დონეზე ცოდნა, რაც დასტურდება დიპლომის დანართით ან წარმოდგენილი ენის სერტიფიკატით, ან შიდა საუნივერსიტეტო ტესტირებით

CU დაფინანსება

მაგისტრატურაში სწავლის დაფინანსება სახელმწიფო გრანტთან ერთად შეგიძლიათ CU გრანტით, რომელიც გულისხმობს 50%-იან დაფინანსებას პროგრამის სრულ ღირებულებაზე.

CU გრანტის მოპოვების ორი შესაძლებლობა არსებობს

- თუ ხართ ნებისმიერი უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული და გაქვთ ბაკალავრიატის ჯამურ ქულათა საშუალო შეწონილი (GPA) 3.5 და მეტი
- თუ საერთო სამაგისტრო გამოცდაზე დააგროვებთ 90 000 საგრანტო ქულაზე მეტს

თუ ორი პირობიდან რომელიმეს აკმაყოფილებთ, შესაძლებლობა გექნებათ ჩაერთოთ საგრანტო კონკურსში და მოიპოვოთ CU გრანტი.

წლიური საფასური MBA	CU გრანტის მოპოვებისას (სახ. გრანტის გარეშე)	CU და სახელმწიფო გრანტის მოპოვებისას
4950 ლარი	2475 ლარი	1350 ლარი

საკონტაქტო ინფორმაცია

თამარ ჭურაძე
სამაგისტრო პროგრამების აკადემიური მენეჯერი

ტელ: (+995 32) 2 37 77 77 (156)
მობ: 577 399 293
ელ. ფოსტა: tchuradze@cu.edu.ge

იოსებ ბერიკაშვილი
დეკანი

ტელ: (+995 32) 237 77 77 (215)
მობ: 577 11 33 15
ელ. ფოსტა: iberikashvili@cu.edu.ge

მის: პაატა სააკაძის ქ. 1

www.cu.edu.ge